საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №133/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 23 ივლისის №133 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ მიკერძოებულად განიხილა საქმე, რადგანაც გადაწყვეტილებაზე, რომელიც არ არის შესული კანონიერ ძალაში გასცა სააღსრულებო ფურცელი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 15 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხე -- -- მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. -- -- სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 11 აპრილს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების ჩაბარების თხოვნით საჯარო გამოქვეყნების გზით. 2018 წლის 30 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, -- -- მთავარ სამმართველოს დაევალა მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული მასალების ჩაბარება. 2018 წლის 16 მაისს მოპასუხე მხარეს ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები.

2018 წლის 23 მაისს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, ასევე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და სადავო ქონებაზე ყადაღის დადება. 2018 წლის 24 მაისის განჩინებით -- -- უარი ეთქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

2018 წლის 31 მაისის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 6 ივლისს. 2018 წლის 15 ივნისს -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 24 მაისის განჩინებაზე. 2018 წლის 19 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

2018 წლის 5 ივლისს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და სხდომის გადადება ითხოვა. 2018 წლის 6 ივლისის საოქმო განჩინებით მოპასუხის წარმომადგენლის

შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა. 2018 წლის 17 ივლისს მოპასუხის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სხდომის გადადების თაობაზე. 2018 წლის 19 ივლისის საოქმო განჩინებით მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა. მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2018 წლის 27 ივლისს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 27.07.2018 და 30.07.2018 წწ პერიოდებში. 2018 წლის 30 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება; -- -- შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა.

2018 წლის 3 სექტემბერს მოპასუხე მხარემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. 2018 წლის 10 სექტემბრის განჩნებით მიღებულ იქნა -- -- საჩივარი 2018 წლის 30 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ; საჩივრის განხილვა დაინიშნა 2018 წლის 8 ოქტომბერს.

2018 წლის 13 სექტემბერს სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი.

2018 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა; -- -- სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

2.2. 2018 წლის 22 ნოემბერს -- -- სასამართლოში წარადგინა სააპელაციო საჩივარი. 2018 წლის 21 სექტემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- სასამართლოს 2018 წლის 24 მაისის განჩინებაზე დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, ამავე სასამართლოს 2018 წლის 8 ოქტომბრის განჩინებაზე, დარჩა განუხილველი.

2.3. 2018 წლის 21 დეკემბერს -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება ითხოვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 21 იანვრის განჩინებით დაუდგინდა ხარვეზი. 2019 წლის 8 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. 2019 წლის 15 მარტის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.4. 2019 წლის 26 მარტს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების თხოვნით. 2019 წლის 17 აპრილს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე. 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით -- -- წარმომადგენლის მიერ 2019 წლის 26 მარტს წარდგენილი განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე დარჩა განუხილველად, მხარის მიერ მისი გამოხმობის გამო.

2019 წლის 17 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების თხოვნით. 2019 წლის 24 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება, 2018 წლის 30 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა; 2018 წლის 13 სექტემბერს გაცემული №-- სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე წარმოებული იძულებითი აღსრულების პროცესი გადაიდო იძულებითი აღსრულების პროცესის დანიშვნის დღიდან, 2019 წლის 1 აგვისტოდან - 3 თვის ვადით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 20 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 23 ივლისის №133 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მნიშვნელობას ადამიანის უფლებათა დაცვაში ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ყველა სხვა უფლების იმპლემენტაცია საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას - აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. ერთ-ერთ საქმეზე (Morice v. France, §95) სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (Ciprian v. Romania, §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (Micallef v. Malta, §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქმის მასალების გაცნობის და აუდიოჩანაწერების დეტალურად გაანალიზების შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, არ დგინდება საჩივრის ავტორის მითითება, რომ მოსამართლე იყო მიკერძოებული და მას აყენებდა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები ვერ ასაბუთებს, მოსამართლის რომელიმე მხარისადმი მიკერძოების ფაქტს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე[1]“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილება - უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ. ამავე კანონის 270-ე მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რომელიც არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას. შესაბამისად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №133/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი